



## საქართველოს კანონი

### „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**მუხლი 1. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხლი 209) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:**

კანონს 332-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 332<sup>1</sup> მუხლი:

#### „მუხლი 332<sup>1</sup>. საჯარო სამსახურში კონკურსის წესის დარღვევა

1. კონკრეტული პირის საჯარო სამსახურში მიღებისას მისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, კანონით დადგენილი კონკურსის წესების განზრახ დარღვევა ან შერჩევის კრიტერიუმის მორგება, რაც გამოიხატება არაგონივრული საკონკურსო მოთხოვნების ან შეფასების კრიტერიუმების დადგენით ან/და კონკურსის ჩაშლით ან სხვა უკანონო ქმედებით სხვა კანდიდატებისთვის ხელის შესაშლელად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე და საჯაროს სამსახურში თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე .

2, იგივე ქმედება ჩადენილი

ა) არაერთგზის;

ბ)სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით.

3. პირი, რომლისთვისაც ცნობილია, რომ მან საჯარო სამსახურში თანამდებობა დაიკავა ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შედეგად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

შენიშვნა: სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი თუ ნებაყოფლობით განუცხადებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს და ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, ამ მუხლით განსაზღვრული ქმედებების და ჩამდენი პირების შესახებ.

#### მუხლი 2.

კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ნეპოტიზმი, ქრონიზმი და პოლიტიკური პატრონაჟი უკვე მრავალი წელია მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში. კანონპროექტის მიღების მიზეზია ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა.

მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი (თანამდებობის ბოროტად გამოყენება) თეორიულად მოიცავს საჯარო სამსახურში კონკურსის წესის განზრახ დარღვევას, თუმცა პრაქტიკაში თითქმის არ ხდება აღნიშნული მუხლის ამგვარი ინტერპრეტაციით გამოყენება. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არსებობდეს სპეციალური ნორმა საჯარო სამსახურში კონკურსის წესის დარღვევისათვის.

კანონპროექტი, ასევე, კრიმინალიზაციას ახდენს იმ პირის მიერ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავებას, რომლის სასარგებლოდაც დაირღვა კონკურსის პირობები და ამის შესახებ მან იცოდა. თუმცა, თუ პირი ამ დანაშაულის შესახებ ნებაყოფლობით მიაწვდის ინფორმაციას საგამოძიებო ორგანოებს, იგი მიზანშეწონილია, გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. მიგვაჩნია, რომ ასეთი მოწესრიგება ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია მერიტოკრატიული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება და საჯარო სამსახურში მუშაობის დანყების სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება საჯარო სამსახურის მიმართ; საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა, საჯარო სამსახურში უსარგებლო ვადრების შემოღების შეჩერება; საჯარო სამსახურის მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით დაკომპლექტების ხელშეწყობა; საქართველოს საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

მიუხედავად მკაცრი ანტი-კორუფციული პოლიტიკისა პრობლემად რჩება საჯარო სამსახურში კონკურსების მხოლოდ ფორმალურად ჩატარება და ნათესავური, მეგობრული თუ პარტიული ნიშნით ვადრების შერჩევა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით ის პირი, რომლის სასარგებლოდაც ჩადენილ იქნა დანაშაული და რომელმაც ამის შედეგად საჯარო სამსახურში თანამდებობა დაიკავა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა რჩება.

შემოთავაზებული კანონპროექტით:

- კონკრეტული პირის საჯარო სამსახურში მიღებისას მისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, კანონით დადგენილი კონკურსის წესების განზრახ დარღვევა ან შერჩევის კრიტერიუმის მორგება, რაც გამოიხატება არაგონივრული საკონკურსო მოთხოვნების ან შეფასების კრიტერიუმების დადგენით ან/და კონკურსის ჩაშლით ან სხვა უკანონო ქმედებით სხვა კანდიდატებისთვის ხელის შესაშლელად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე და საჯაროს სამსახურში თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე .
- იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით რაც სერიოზული დემოტივატორული ფაქტორია დანაშაულის ჩადენისთვის;

- კანონპროექტის თანახმად, დანაშაული ხდება იმ პირის მიერ თანამდებობის დაკავება, რომლის სასარგებლოდაც მოხდა კონკურსის პირობების დარღვევა თუ მან აღნიშნული ფაქტის შესახებ იცოდა. ამგვარი მონესრიგება არამართო მიღებულია მათ შორის ისეთ სამართლებრივად მოწინავე ქვეყანაში, როგორც გერმანია<sup>1</sup>, არამედ ძალიან ეფექტური გზაა ამ ტიპის დანაშაულთან საბრძოლველად. ამ შემთხვევაში პირს ეცოდინება, რომ არამართო ის თანამდებობის პირი დაისჯება, რომელმაც მიკერძოებულად ჩაატარა კონკურსი, არამედ – თვითონაც;
- კანონპროექტით გათვალისწინებულ დანაშაულთან ეფექტური ბრძოლის მიზნით, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომლის სასარგებლოდაც მოხდა კონკურსის წესის დარღვევა და რის შედეგადაც მან საჯარო სამსახურში თანამდებობა დაიკავა, თუ აღნიშნული პირი ნებაყოფლობით განუცხადებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ჩადენილი ქმედების და ჩამდენი პირების შესახებ. ამგვარი მონესრიგებით, ხელი შეეწყობა აღნიშნული ტიპის დანაშაულების გახსნას და კიდევ ერთი დემოტივატორული ფაქტორი იქნება კანონპროექტის პირველი ნაწილით განთვალისწინებული პოტენციური დამნაშავეებისათვის.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ფინანსური შედეგების წარმოშობას იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

<sup>1</sup> გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლებრივად დასჯადია საჯარო სამსახურში თანამდებობის არაკანონიერად დაკავება

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დანესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დანესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**